



**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების
პრიორიტეტების დოკუმენტი
(პირველადი ვარიანტი)**

შინაარსი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ	3
ისტორია	3
მდებარეობა	3
ფართობი	4
გეოგრაფია	4
მმართველობის ორგანოები	5
მოსახლეობა	6
ეკონომიკა	6
სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა	7
საჯარო დაწესებულებები	7
ღირშესანიშნაობები	7
ბიუჯეტი	8
თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	8
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი	8
შემოსულობები	12
გადასახდელები	14
2019 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა	16
2020 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა	24
თავი III. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიანი პერიოდში	28
02 00 ინფრასტრუქტურის განვითარება	28
03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა	41
04 00 განათლება	44
05 00 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	46
06 00 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	56
01 00 მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯი	67

შესავალი

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება კვლავ დაეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს პანდემიით დაზარალებული ბიზნესის აღდგენასა და შემდგომ გაფართოებას, აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს. ცნობილია, რომ გამოწვევებთან ერთად, პანდემიამ შექმნა განვითარების ახალი შესაძლებლობები და პერსპექტივები. სწორედ ამ შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებაზე იქნება მიმართული როგორც ქვეყნის, ასევე მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკა შემდგომი 4 წლის განმავლობაში.

გრძელვადიანი და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლება იმუშავებს ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე და ეკონომიკის ფაქტორების, ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული რესურსების მაქსიმალურ ჩართვაზე ეკონომიკურ აქტივობაში.

ამასთან, აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ისტორია

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი თვითმმართველი ერთეულია იმერეთის მხარეში. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ქვის ხანის მრავალი ნამოსახლარია აღმოჩენილი: ხომულის მღვიმე, ქვილიშორის მღვიმე, შავგორას მღვიმე, საქაჯიას მღვიმე, საწურბლიას ეხი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნასოფლარი მელოური, მუხიანის, ფარცხანაყანევისა და ქვედა მაღლაკის ანტიკური სამაროვნები.

გათხრების შედეგად დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადამიანს ჯერ კიდევ ზედა პალეოლითში (ძველი ქვის ხანა) 30-40 ათასი წლის წინათ და ქვა-სპილენძის ხანაში, 7 ათასი წლის წინათ უცხოვრია. თეთრ მღვიმეში ნაპოვნი იქნა კავკასიაში ყველაზე ადრეული იარაღი-სპილენძის ისრის პირი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მე-4 - მე-5 ათასწლეულით თარიღდება. მე-12-13 საუკუნეებში კი იგი უკვე ცნობილია, როგორც სამკურნალო პუნქტი. წყალტუბოში არსებულ ბუნებრივ სიმდიდრეს – სამკურნალო წყლებს საფუძვლიანი ქიმიური ანალიზი 1913 წელს ჩაუტარდა, რამაც მისი უნიკალურობა დაადასტურა. ოფიციალურ ბალნეოლოგიურ კურორტად წყალტუბო 1920 წლიდან იქცა, ხოლო ქალაქის სტატუსი 1953 წელს მიენიჭა. საბჭოთა კავშირის არსებობის წლებში იგი ცნობილი იყო როგორც საკავშირო დონის კურორტი.

მდებარეობა



წყალტუბოს მუნიციპალიტეტი მდებარეობს კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთით, მდინარეების რიონისა და გუბისწყლის ხეობაში, იმერეთის ცენტალურ ნაწილში. მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ესაზღვრება ქალაქი ქუთაისი,

დასავლეთით - სამტრედიისა და ხონის, ჩრდილოეთით ცაგერის და ამბროლაურის, ხოლო სამხრეთით - ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტები.

ფართობი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ფართობი არის 707,5 კვ კმ. მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 30543 ჰექტარი. ტყის საერთო ფონდი შეადგენს 24 685 ჰექტარს, ხოლო 345 ჰექტარი დაკავებული აქვს სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ტბები: თავშავას ტბა და ასევე ხელოვნურად შექმნილი „ცივი ტბა“, მდინარეები: რიონი შენაკადებით, წყალტუბოსწყალი, გუბისწყალი და სხვა.

გეოგრაფია

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რელიეფის განმსაზღვრელ ფიზიკურ - გეოგრაფიულ ფაქტორს წარმოადგენს ფართო ოვალური ფორმის ჩაღრმავება ქვაბურ მინერალური წყაროების გამოსვლით, რომელიც ყოველი მხრიდან შემოსაზღვრულია მთაგრეხილების შტოებით და მხოლოდ კოლხეთის დაბლობისაკენ არის გახსნილი. ქვაბულის გარშემო მდებარე ფერდობებს სხვადასხვა სიმაღლე და ექსპოზიცია აქვთ, რელიეფის ძირითადი ფორმები დაბლობ - ბორცვიანია და მთიან რეგიონში გავრცელებულია წითელმიწა, ეწერი და ნეშომპალა ნიადაგები.

წყალტუბო მსოფლიო მნიშვნელობის კურორტია. იგი ძალზე ორიგინალური ჰიდროგეოლოგიური აგებულებით გამოირჩევა. აქ ზღვის ჰავა ნოტიო სუბტროპიკულია, მოკლე ზამთრით და ცხელი ზაფხულით. ჰაერის ტემპერატურის მხრივ წყალტუბო ერთ-ერთი თბილი კუთხეა საქართველოში. საშუალო წლიური ტემპერატურა - 15 გრადუსია. ყველაზე ცხელი აგვისტოს საშუალო ტემპერატურა -28-30 გრადუსია. ყველაზე ცივი თვეების იანვარ-თებერვლისა - 5 გრადუსი. საშუალო წლიური ტენიანობა 76 პროცენტია.

წყალტუბო მდიდარია წყლის რესურსებით, რომლის მთავარი არტერიაა მდინარე რიონი შენაკადებით მდ. წყალტუბო და გუბისწყალი. მათი წლიური ჩამონაენი 1690 მლნ. კუბ. მეტრს, ხოლო წყლის ხარჯი წამში 0.28-ს შეადგენდა, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა კი 1420 მმ იყო.

რეგიონის ძირითადი მინერალური რესურსია წყალტუბოს ცნობილი სამკურნალო თერმული წყალი, რომელიც ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით უნიკალურია. მისი ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა რადიოაქტივობა. წყალი შეიცავს

კეთილშობილ აირს, რადონის ემანაციას, აზოტის დიდ რაოდენობას და ჰელიუმს. რის გამოც მას აიროვან-აზოტიანი წყლების კლასს მიაკუთვნებენ.

წყალტუბოს მინერალური წყლის მაღალხარისხოვნების მაჩვენებელია ბუნებრივი ოპტიმალური ტემპერატურის 35 გრადუსის მუდმივობა, რაც ხელს უწყობს აბაზანების ადვილად ამტანიანობას. წყალი აბაზანებში პირდაპირ წყაროებიდან მიდის გათბობისა და გაციების გარეშე.

წყალტუბოს ბუნებრივი სიმდიდრეა ტყე, რომლის საერთო ფონდი 2008 წლისათვის 24685 ჰექტარს შეადგენდა. ტყით დაფარული იყო 23706 ჰექტარი. ტყეების უმრავლესობა პირველ ჯგუფს მიეკუთვნება. რეგიონში ტერიტორიის გატყიანება 34.9 პროცენტს შეადგენს.

პროგნოზით, ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების ათვისების მხრივ (თერმული წყლები, საშენი მასალები და სხვა) წყალტუბო დიდი მნიშვნელობის კურორტის, ტურიზმის და მეწარმეობის ცენტრი გახდება, რაც უპირველესად. მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მისი ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე.

მმართველობის ორგანოები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი, საკანონმდებლო ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 39 წევრისაგან. მათგან 26 არჩეულია პროპორციული, ხოლო 13 მაჟორიტარული სისტემით. საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს ერთი პირველი მოადგილე და ორი მოადგილე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 კომისია, ესენია: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია; საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია; საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია და საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ისევე როგორც საქართველოს ყველა სხვა მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა (სამსახურები) და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არამომგებიანი, არაკომერციული იურიდიული პირების მეშვეობით.

მუნიციპალიტეტი მოიცავს 17 ტერიტორიულ ერთეულს: ქალაქი წყალტუბო და ადმინისტრაციული ერთეულები: გეგუთი, გვიშტიბი, გუმბრა, დღნორისა, მაღლაკი, მექვენა, მუხიანი, ოფურჩხეთი, ოფშკვითი, პატრიკეთი, რიონი, საყულია, ფარცხანაყანევი, ქვიტირი, ცხუნკური და სოფელ წყალტუბო.

მოსახლეობა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მდგომარეობით 56 883 კაცია, მათ შორის მამაკაცი 28 343 და ქალი 28 540 (მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.მ. - ზე არის 81.2 კაცი). წყალტუბოში 48 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი და 47 სოფელი.

მოსახლეობის სიდიდის მიხედვით საქართველოს 64 მუნიციპალიტეტს შორის წყალტუბოს მუნიციპალიტეტი 9-ე ადგილზეა. მუნიციპალიტეტში დასახლებული 56 883 მოსახლიდან ქალაქში რეგისტრირებულია 11 284 პირი, ხოლო სოფელში 45 599 მაცხოვრებელი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 1,5%-ია (3 713 804 მოსახლე), ხოლო იმერეთის რეგიონის 10,7%-ს შეადგენს (533 906 მოსახლე).

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2014 წლის მონაცემების მიხედვით		
დასახლება	მოსახლეობა	ფართობი (კვ. კმ)
სულ საქართველო	3713804	69700
იმერეთის რეგიონი	533906	6516,0
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	56883	707,5
პროცენტი საქართველოსთან	1,5%	1,01%

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 15 092 პენსიონერი. მათ შორის 1493 ოჯახი სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონეა.

ეკონომიკა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკის წამყვანი დარგია ტურიზმი. აქ განსაკუთრებულ როლს ასრულებს კურორტი წყალტუბო, რომელიც განთქმულია სამკურნალო თერმული წყლით. აქვე აღსანიშნავია სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი, რომელიც მთლიანად მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს.

მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს სპელეოლოგიური ძეგლები: კარსტული მღვიმეები, ძაბრები და ეხები. მათგან აღსანიშნავია სათაფლიის კარსტული მღვიმე, ხომულის მღვიმე, თეთრი მღვიმე, „პრომეთეს“ მღვიმე, საწურბლიას ეხი.

მუნიციპალიტეტის სასოფლო - სამეურნეო სავარგულები 30 543 ჰექტარია. სოფლის მეურნეობაში ძირითადად განვითარებულია მებოსტნეობა, მეხილეობა, მემარცვლეობა.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის მთავარი სატრანსპორტო კვანძია ქალაქი წყალტუბო, რომელიც საავტომობილო გზებით უკავშირდება ქალაქებს: ქუთაისს, ხონს, ცაგერს, ტყიბულს. ქალაქი სარკინიგზო მაგისტრალით უკავშირდება ქუთაისს.

საჯარო დაწესებულებები

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორის:

- 39 საჯარო სკოლა და 2 კერძო სკოლა, სადაც სწავლობს 5 673 მოსწავლე;
- 24 საბავშვო ბაღი - სააღმზრდელო პროცეს გადის 1500 ბავშვი;
- კულტურის ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს 29 ბიბლიოთეკა, 3 მუზეუმი, 10 კლუბი, 2 კულტურის სახლი, სახალხო თეატრი და ანსამბლი „ნადური“;
- სპორტული ცენტრი - სადაც სპორტის 14 სახეობას ეუფლება 578 ბავშვი;
- ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს სამუსიკო განათლებისა და სამხატვრო განათლების სკოლა 270 მოსწავლით. ასევე ცენტრში წრეების პროგრამებში მონაწილეობს 359 აღსაზრდელი.

ღირსშესანიშნაობები

წყალტუბო მრავალფუნქციური, მსოფლიო მნიშვნელობის ბალნეოლოგიური კურორტია, რომლის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი რესურსია უნიკალური რადონის შემცველობის წყალი, რითაც კურორტი ყოველთვის იზიდავდა დამსვენებლებს. წყალტუბო საინტერესოა ტურისტებისათვის აქ არსებული კარსტული მღვიმეების „სათაფლიისა“ და „პრომეთეს“ მიწისქვეშა სილამაზით და სამკურნალო სპელეოტურიზმისათვის დამახასიათებელი ფაქტორებით.

წყალტუბოს ტერიტორიაზე მდებარეობს ფეოდალური ხანის საქართველოს საერო არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძეგლი გეგუთის სასახლე X-XI სს; იოანე ნათლიმცემლის სახელობის ეკლესია სოფელ დერჩში – 8-9 ს.ს; ზარათის ეკლესია სოფ. ზარათში – XI ს.ს.

წყალტუბოში მდებარეობს აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, მწერალ ნიკო ლორთქიფანიძის სახლ - მუზეუმი სოფელ ჩუნეშში, გიორგო ახვლედიანის სახლ - მუზეუმი სოფელ დერჩში.

ბიუჯეტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი მიმდინარე პერიოდისთვის შეადგენს 52 458,7 ათ. ლარს. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა მუნიციპალიტეტის ბოლო წლების ბიუჯეტების მაჩვენებლებს შორის. ბიუჯეტის შემოსულობების ნახევარზე მეტს (34222,3 ათ. ლარი) მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. მათ შორის, აღსანიშნავია დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელზეც საკუთარი შემოსავლების დიდი ნაწილი (23223,1 ათ. ლარი) მოდის. არასაკუთარი შემოსავლები ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1. შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2025-2028 წლებისთვის

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2025-2028 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასევე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

2.2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

ათასი ლარი

დასახელება	2023 წლის ფაქტი			2024 წლის ბიუჯეტის გეგმა			2025 წლის ბიუჯეტის პროექტი			2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
შემოსულობები	44,042.8	13,705.1	30,337.7	45,874.0	11,651.7	34,222.4	32,097.5	352.2	31,745.3	34,197.1	36,497.8	38,991.1
შემოსავლები	42,392.3	13,705.1	28,687.2	43,033.1	11,651.7	31,381.5	31,997.5	352.2	31,645.3	34,097.1	36,397.8	38,891.1
არაფინანსური აქტივების კლება	1,650.6	0.0	1,650.6	2,840.9	0.0	2,840.9	100.0	0.0	100.0	100.0	100.0	100.0
შემოსავლები	42,392.3	13,705.1	28,687.2	43,033.1	11,651.7	31,381.5	31,997.5	352.2	31,645.3	34,097.1	36,397.8	38,891.1
გადასახადები	22,600.8	0.0	22,600.8	26,023.1	0.0	26,023.1	27,915.3	0.0	27,915.3	29,999.8	32,284.6	34,761.3
დღგ	19,601.0		19,601.0	23,223.1		23,223.1	25,115.3		25,115.3	27,199.8	29,484.6	31,961.3
ქონების გადასახადი	2,999.8	0.0	2,999.8	2,800.0	0.0	2,800.0	2,800.0	0.0	2,800.0	2,800.0	2,800.0	2,800.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1,879.5		1,879.5	2,200.0		2,200.0	2,200.0		2,200.0	2,200.0	2,200.0	2,200.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-103.1		-103.1	0.0			0.0					
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	58.1	0.0	58.1	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0	10.0	10.0	10.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	5.7		5.7	1.0		1.0	1.0		1.0	1.0	1.0	1.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	52.4		52.4	9.0		9.0	9.0		9.0	9.0	9.0	9.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	277.0	0.0	277.0	190.0	0.0	190.0	190.0	0.0	190.0	190.0	190.0	190.0

ფიზიკურ პირებიდან	195.7		195.7	140.0		140.0	140.0		140.0	140.0	140.0	140.0
იურიდიულ პირებიდან	81.3		81.3	50.0		50.0	50.0		50.0	50.0	50.0	50.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	888.4	0.0	888.4	400.0	0.0	400.0	400.0	0.0	400.0	400.0	400.0	400.0
ფიზიკურ პირებიდან	92.4		92.4	50.0		50.0	50.0		50.0	50.0	50.0	50.0
იურიდიულ პირებიდან	796.0		796.0	350.0		350.0	350.0		350.0	350.0	350.0	350.0
გრანტები	14,597.6	13,705.1	892.5	12,227.9	11,651.7	576.3	352.2	352.2	0.0	367.3	383.2	399.8
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	222.5		222.5	176.3		176.3	0.0					
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	14,375.1	13,705.1	670.0	12,051.7	11,651.7	400.0	352.2	352.2	0.0	367.3	383.2	399.8
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	770.7	770.7	0.0	736.0	736.0	0.0	352.2	352.2	0.0	367.3	383.2	399.8
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	770.7	770.7		736.0	736.0		352.2	352.2		367.3	383.2	399.8
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	13,604.5	12,934.5	670.0	11,315.7	10,915.7	400.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	9,650.5	8,980.5	670.0	10,066.7	9,666.7	400.0	0.0					
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	704.0	704.0		704.0	704.0		0.0					

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები	3,250.0	3,250.0		545.0	545.0		0.0					
სხვა შემოსავლები	5,193.9	0.0	5,193.9	4,782.1	0.0	4,782.1	3,730.0	0.0	3,730.0	3,730.0	3,730.0	3,730.0
შემოსავლები საკუთრებიდან	1,104.1	0.0	1,104.1	240.0	0.0	240.0	340.0	0.0	340.0	340.0	340.0	340.0
პროცენტები	576.6		576.6	0.0			0.0					
რენტა	527.6	0.0	527.6	240.0	0.0	240.0	340.0	0.0	340.0	340.0	340.0	340.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	425.8		425.8	220.0		220.0	300.0		300.0	300.0	300.0	300.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	101.8		101.8	20.0		20.0	40.0		40.0	40.0	40.0	40.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	3,039.9	0.0	3,039.9	3,042.1	0.0	3,042.1	1,820.0	0.0	1,820.0	1,820.0	1,820.0	1,820.0
ადმინისტრაციუ ლი მოსაკრებლები და გადასახდელები	2,852.7	0.0	2,852.7	2,972.1	0.0	2,972.1	1,750.0	0.0	1,750.0	1,750.0	1,750.0	1,750.0
სანებართვო მოსაკრებელი	78.4		78.4	40.0		40.0	50.0		50.0	50.0	50.0	50.0
სახელმწიფო ბაჟი	0.0			0.0			0.0					
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	2,562.3		2,562.3	2,774.2		2,774.2	1,500.0		1,500.0	1,500.0	1,500.0	1,500.0
ადგილობრივ ი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	211.5		211.5	157.9		157.9	200.0		200.0	200.0	200.0	200.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	187.2	0.0	187.2	70.0	0.0	70.0	70.0	0.0	70.0	70.0	70.0	70.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	187.2		187.2	70.0		70.0	70.0		70.0	70.0	70.0	70.0

ჯარიმები, საჩეციები და საურავები	969.9		969.9	1,500.0		1,500.0	1,500.0		1,500.0	1,500.0	1,500.0	1,500.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	79.9		79.9	0.0			0.0					
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	0.0			0.0			70.0		70.0	70.0	70.0	70.0
არაფინანსური აქტივების კლება	1,650.6	0.0	1,650.6	2,840.9	0.0	2,840.9	100.0	0.0	100.0	100.0	100.0	100.0
ძირითადი აქტივები	97.7		97.7	90.0		90.0	20.0		20.0	20.0	20.0	20.0
არაწარმოებული აქტივები	1,552.9	0.0	1,552.9	2,750.9	0.0	2,750.9	80.0	0.0	80.0	80.0	80.0	80.0
მიწა	1,552.9		1,552.9	2,750.9		2,750.9	80.0		80.0	80.0	80.0	80.0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0			0.0			0.0					
საშინაო	0.0			0.0			0.0					

საანგარიშო 2020-2024 წლების პერიოდში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შემოსავლების სტრუქტურის განხილვისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საბიუჯეტო სისტემაში 2019 წლის 1 იანვრიდან განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მუნიციპალიტეტის შემოსავლების ფორმირებაზე. კერძოდ: დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდა ცვლილებები საბიუჯეტო კოდექსსა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის მიხედვითაც შეიცვალა მუნიციპალიტეტების დაფინანსების სისტემა, კერძოდ, მუნიციპალიტეტების აღარ მიეცემათ გათანაბრებითი ტრანსფერი, ასევე საშემოსავლო გადასახადის სხვადასხვა სახეებიდან მუნიციპალურ ბიუჯეტებში ჩარიცხული შემოსავლები მთლიანად მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში. აღნიშნულის სანაცვლოდ მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ჩარიცხება ქვეყნის მასშტაბით მობილიზებული დამატებითი ღირებულების გადასახადის 19,0%, რასაც წყალტუბოს მუნიციპალიტეტის შემოსულობებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მისი მოცულობა 2024 წელს

მთლიანი შემოსავლების 50,6%-ია (23223,1 ათ. ლარი), ხოლო დღეს არსებული პროგნოზებით 2028 წლისათვის იგი მთლიანი შემოსავლების 81,9% იქნება და 31961,3 ათ. ლარს მიაღწევს.

საანგარიშო პერიოდში, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, ქონების გადასახადიდან მისაღები თანხების პროგნოზი უცვლელია და იგი გასული წლების ანალოგიურია. მისი მოცულობა 2025 - 2028 წლებში განისაზღვრება 11 200,0 ათ. ლარით. ქონების გადასახადი ფორმირების ძირითადი წყაროა საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა), აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლების ფორმირების ძირითადი წყაროა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და ჯარიმები, სანქციები და საურავებიდან მიღებული შემოსავლები.

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების ტრანსფერების ნაწილში ასევე გათვალისწინებულია მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის, რომლის მოცულობაც გასული წლების მოცულობასთან შედარებით გაზრდილია.

2.3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2023 წლის ბიუჯეტის ფაქტი			2024 წლის ბიუჯეტის გეგმა			2025 წლის ბიუჯეტის პროექტი			2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის				
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
00 00	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	41,443.3	13,176.9	28,266.4	52,458.7	12,407.9	40,050.8	32,097.5	352.2	31,745.3	34,197.1	36,497.8	38,991.1
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5,955.6	183.6	5,772.0	6,898.0	0.0	6,898.0	7,425.9	0.0	7,425.9	7,789.7	8,171.6	8,956.9
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	20,833.5	12,349.1	8,484.4	26,290.3	11,534.2	14,756.1	7,112.1	0.0	7,112.1	7,754.3	8,424.1	8,987.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2,457.1	0.0	2,457.1	3,459.4	0.0	3,459.4	2,436.0	0.0	2,436.0	2,659.8	2,839.5	3,075.5
04 00	განათლება	4,875.9	472.5	4,403.4	5,869.9	488.4	5,381.6	5,866.9	0.0	5,866.9	6,160.3	6,635.9	6,941.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	4,746.0	0.0	4,746.0	6,373.1	66.3	6,306.8	5,455.9	0.0	5,455.9	5,767.0	6,086.0	6,407.3

06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,575.1	171.7	2,403.5	3,568.0	319.0	3,249.0	3,800.7	352.2	3,448.5	4,065.4	4,340.0	4,622.6
----------	--	---------	-------	---------	---------	-------	---------	---------	-------	---------	---------	---------	---------

ანალოგიურად შემოსულობებისა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელებიც 2024 წელთან შედარებით გაზრდილია და შემდგომ, 2026-2028 წლების პერიოდში, აგრძელებს სტაბილურ ზრდას.

2026-2028 წლებში მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტი იქნება ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება. 2025 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსება მთლიანი გადასახდელების 22,2%-ია, ხოლო 2028 წლისათვის - 23,0%-ს გადააჭარბებს.

სტაბილურად იზრდება ბიუჯეტის ყველა პრიორიტეტული სფეროს დაფინანსება. მათ შორისაა: დასუფთავება და გარემოს დაცვა, სკოლამდელი დაწესებულებები, კულტურული ღონისძიებები და სპორტული აქტივობები, მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებები.

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, ტურიზმის, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებას ყველაზე დიდი ხვედრითი წილი უჭირავს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში. იგი მზარდი დინამიკით გამოირჩევა და 2024-2028 წლების განმავლობაში. მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას.

2. 4. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის წლიური შესრულების შესახებ ინფორმაცია

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 41211,1 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 44042,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 106.9%.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 39820,3 ათასი ლარი, ფაქტიურად 42392,3 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 106,5% შეადგინა.

ა) საგადასახადო შემოსავლები ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 22600,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 103,1 % -ია (21930,8 ათასი ლარი), მათ შორის: დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 19601,0 ათასი ლარი (გეგმა 19630,8 ათასი ლარი) ანუ გეგმის შესრულებას დააკლდა 29,8 ათასი ლარი. ქონების გადასახადის გეგმა საანგარიშო პერიოდში შეადგენდა 2300,0 ათას ლარს, მიღებულია 2999,8 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 1879,5 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე - 5,7 ათასი ლარი, არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე - 52,4 ათასი ლარი. სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ფიზიკური პირებიდან - 195,7 ათასი ლარი. ხოლო იურიდიული პირებიდან - 81,3 ათასი ლარი. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ფიზიკური პირებიდან - 92,4 ათასი ლარი. ხოლო იურიდიული პირებიდან - 796,0 ათასი ლარი. გეგმის ზევით მიღებულია 699,8 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოთა ქონების გადასახადი, სახელმწიფო ხაზინის გავლით, მთლიანად აკუმულირდება მუნიციპალიტეტში. მისაღები შემოსავლის გეგმის განსაზღვრას აკეთებს ფინანსთა სამინისტრო წინა წლის მონაცემებზე დაყრდნობით. გეგმის ზევით შემოსავლის მიღება დაკავშირებულია მუნიციპალიტეტში მდებარე მეწარმეთა საქმიანობის გაფართოებასთან.

ბ) გრანტები ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 14597,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 100,6%-ია (გეგმა საანგარიშო პერიოდისათვის 14515,9 ათასი ლარი), მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 770,7 ათასი ლარი („საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 365,0 ათასი ლარი და საჯარო სკოლების მოსწავლეთა

ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია - 405,7 ათასი ლარი), ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები - 13604,5 ათასი ლარი, მათ / შორის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების (8280,5 ათასი ლარი) ფარგლებში მიმდინარეობს პროექტების დაფინანსება ეტაპობრივად, კერძოდ სოფელ ოფურჩხეთში რიდვას უბანში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ბანოჯაში მე-15 და მე-18 ქუჩებზე გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ხომულისა და ქვილიშორის დამაკავშირებელი გზის (შეერთება) რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, ქალაქ წყალტუბოში ავალიანისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაზე ასევე თამარ მეფისა და აღმაშენებლის ქუჩების კვეთაზე არსებული სანიაღვრე სისტემებისა და ასფალტის საფარის რეაბილიტაცია, სოფელ გეგუთში ბოდოკიების, ღალღას და ზივზივადეების უბნებში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ გვიშტიბში მე-8 ჩიხში სავალი ნაწილის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ცხუნკურში გაღმა ჩუნეშში მეშვიდე ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ტყაჩირში ჯანელიძეების სინაურიძეების უბანში და სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ყუმისთავის მესამე მეთექვსმეტე ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში გურეშების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ჟონეთში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ცხუნკურში მესამე, მეთექვსმეტე ქუჩის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ დერჩისა და დღნორისაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 700,0 ათასი ლარი; სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების (3250,0 ათასი ლარი) ფარგლებში განხორციელდა 2023 წლის 10-13 იანვარს მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად კერძო საცხოვრებელი სახლების დაზიანებების აღმოსაფხვრელად სამშენებლო მასალების შეძენა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, საბავშვო ბაღებისა და სოფელ ოფშკვითის კლუბის სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2476 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიღებულია 704,0 ათასი ლარი, მათ შორის: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში

ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭირო მზა ბეტონის შესყიდვა და შიდა გზების გზების მოხვნა ინერტული მასალით, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭირო სამშენებლო მასალების და სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციისთვის საჭირო მასალების შესყიდვა თანამდევი ტრანსპორტირების მომსახურებით, გარე განათების მოწყობა, სანიაღვრე არხების მოწყობა და სხვა.

სხვა შემოსავლები ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 5193,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 154% -ია (გეგმა – 3373,6 ათასი ლარი), მათ შორის: პროცენტის სახით მიღებულია 576,6 ათასი ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 425,8 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 101,8 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი - 78,4 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი (სისტემურ - ელექტრონული ფორმის თამაშებიდან) – 2562,3 ათასი ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 211,5 ათასი ლარი, შემოსავლები მომსახურების გაწევიდან - 187,2 ათასი ლარი (სახელმწიფო შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან მიღებული შემოსავალი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობის იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებული შემოსავალი, ჯარიმები, სანქციები და საურავები - 969,9 ათასი ლარი, ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე - 79,9 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების გეგმის 154%-ით შესრულება უმეტესწილად განაპირობა სისტემურ ელექტრონული ფორმის თამაშებიდან მიღებული მოსაკრებლის 1 308,3 ათასი ლარით გადაჭარბებამ. გამომდინარე იქედან რომ 2023 წლის დასაწყისში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ფუნქციონირებდა ერთი კაზინო, (რომლის წლიური გადასახდი შეადგენს 1 000 000 ლარს) და წლის განმავლობაში დაემატა ორი გადამხდელი. აღნიშნულმა განაპირობა სისტემურ ელექტრონული ფორმის თამაშებიდან მიღებული მოსაკრებლის 1 308,3 ათასი ლარით გადაჭარბება.

გადაჭარბებითაა შესრულებული „შემოსავლები საკუთრებიდან“, გამომდინარე იქედან რომ წლის განმავლობაში მოხდა მოხდა უძრავი ქონების იჯარით გაცემა.

ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების გეგმის გადაჭარბება (საგზაო ჯარიმები განაპირობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ახალი ვიდეო სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟებამ.

დ) არაფინანსური აქტივების კლება ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 1650,6 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 118,7%-ით, (გეგმა 1390,8 ათასი ლარი), მათ შორის: ძირითადი აქტივები - 97,7 ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 1552,9 ლარი. არაფინანსური აქტივების კლების - გეგმის გადაჭარბებით შესრულება განაპირობა სახელმწიფოს მიერ უძრავი ქონების გაყიდვამ. გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ადგილობრივ ბიუჯეტში აკუმულირება ხდება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით.

ე) ხარჯები ეკონომიკური მუხლების მიხედვით

დასახელება	2023 წლის ბიუჯეტის გეგმა			2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი			%
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
II. ხარჯები	27,413.2	3,218.5	24,194.6	26,039.5	3,085.9	22,953.6	95.0
შრომის ანაზღაურება	4,244.8	146.2	4,098.6	4,185.7	144.0	4,041.8	98.6
საქონელი და მომსახურება	5,656.9	1,087.9	4,568.9	5,159.0	1,013.4	4,145.5	91.2
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0,0
პროცენტი	20.4	0.0	20.4	20.3	0.0	20.3	99.6
სუბსიდიები	11,659.2	139.9	11,519.3	11,252.5	139.7	11,112.9	96.5
გრანტები	1,285.0	0.0	1,285.0	1,234.9	0.0	1,234.9	96.1
სოციალური უზრუნველყოფა	1,722.2	32.0	1,690.2	1,666.3	32.0	1,634.3	96.8
სხვა ხარჯები	2,824.7	1,812.5	1,012.2	2,520.7	1,756.8	763.9	89.2

ვ) ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

ათასი ლარი

ორგ. კოდი	დასახელება	2023 წლის ბიუჯეტის გეგმა	2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი	%
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	167.2	160.4	95.9
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	15,776.0	13441.3	85.2
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	596.4	530.9	89.0
04 00	განათლება	456.6	420.0	92.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	822.1	767.9	93.4
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	28.6	27.8	96.9
	სულ	17,846.9	15,348.3	86.0

დასახელება	2023 წლის ბიუჯეტის გეგმა	2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი	%
არაფინანსური აქტივების კლება	1,390.8	1650.6	118.7
ძირითადი აქტივები	72.5	97.7	134.8
არაწარმოებული აქტივები	1318.347	1552.9	117.8
მიწა	1318.3	1552.9	117.8

ზ) ვალდებულებები

დასახელება	2023 წლის ბიუჯეტის გეგმა	2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი	%
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების კლება	55,6	55,6	100

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა“ და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სესხის შესაბამისად 2023 წლის 01 იანვრისთვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ვალი შეადგენდა 232,1 ათ ლარს, 28 აპრილს და 28 ოქტომბერს ვალი შემცირდა 75,9 ათასი ლარით, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტს დარჩა ვალი 156,2 ათ. ლარი.

თ) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ფუნქციონალ. კოდი	დასახელება	გეგმა	ხარჯი	შესრულება
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	6559.8	6365.4	97.0
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	14255.6	12147.0	85.2
7.5	გარემოს დაცვა	3807.7	3732.3	98.0
7.6	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	7979.9	7411.3	92.9
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	183.0	179.1	97.9
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	4920.6	4746.0	96.5
7.9	განათლება	5068.9	4876.0	96.2
7.10	სოციალური დაცვა	2484.5	2396.1	96.4

ი) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - - 235.8 ათასი ლარის ოდენობით.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 2599,4 ათასი ლარის ოდენობით.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

მიმდინარე წლის დასაწყისში არსებული ნაშთიდან 4 309 297 ლარიდან იანვრის ცვლილებით მიიმაართა 3 484 016 ლარი (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გარდამავალი ვალდებულებები 1 389 563 ლარი; ნაშთით ურბანული წარმოსახვის პროგრამის ფარგლებში 83 000 ლარი; 2022 წლის გარდამავალი პროექტები, რომელთა ტენდერები გამოცხადდა 2022 წელს - 160 299 ლარი და თავისუფალი ნაშთიდან ხარჯებში გაიწერა 1 851 154 ლარი). სექტემბრის ცვლილებით 413 000 ლარი თავისუფალი ნაშთიდან. განკარგულების ეკონომიებიდან 209 311 ლარი (საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 ოქტომბრის №1993 განკარგულებით - 3749 ლარი და 2023 წლის 23 ოქტომბრის #1875 განკარგულებით 205 562 ლარი) მიიმაართა ახალ პროექტებზე, ხოლო წლის დასაწყისში არსებულ ნაშთში 188 591 ლარი წარმოადგენს სხვადასხვა განკარგულების ეკონომიას.

II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 41443,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (45315,6 ათასი ლარი) 91,5 პროცენტია.

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 27413,2 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 26039,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 95%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 17846,9 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 15348,3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 86 %-ია.

პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგია:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2023 წლის ბიუჯეტის გეგმა			2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი			%
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
00 00	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	45,315.6	14,170.6	31,145.0	41,443.4	13,177.0	28,266.4	91.5
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6,332.5	194.4	6,138.1	5,955.6	183.6	5,772.0	94.0

02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	23,732.3	13,279.5	10,452.8	20,833.5	12,349.1	8,484.4	87.8
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2,586.8	0.0	2,586.8	2,457.1	0.0	2,457.1	95.0
04 00	განათლება	5,068.9	524.8	4,544.1	4,876.0	472.6	4,403.4	96.2
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	4,920.6	0.0	4,920.6	4,746.0	0.0	4,746.0	96.5
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,674.5	171.9	2,502.6	2,575.1	171.7	2,403.5	96.3

1) მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00) საანგარიშო პერიოდში მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 5955,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (6332,5 ათასი ლარი) 94 პროცენტია.

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 1523,8 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 4216,2 ათასი ლარი, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამალგების ხელშეწყობა (დელეგირებული ფუნქცია) – 183,6 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერით), კადრების მომზადება - გადამზადება 32,0 ათასი ლარი.

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2023 წლის ბიუჯეტის გეგმა			2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი			%
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	6,332.5	194.4	6,138.1	5,955.6	183.6	5,772.0	94.0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	6,312.6	194.4	6,118.2	5,955.6	183.6	5,772.0	94.3
01 01 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,591.5	0.0	1,591.5	1,523.8	0.0	1,523.8	95.7

01 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	4,493.7	0.0	4,493.7	4,216.2	0.0	4,216.2	93.8
01 01 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	194.4	194.4	0.0	183.6	183.6	0.0	94.4
01 01 04	კადრების მომზადება-გადამზადება	33.0	0.0	33.0	32.0	0.0	32.0	97.1
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	19.9	0.0	19.9	0.0	0.0	0.0	0.0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	19.9	0.0	19.9	0.0	0.0	0.0	0.0

1) ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 14 436,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (17959,8 ათასი ლარი) 80,4 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2023 წლის ბიუჯეტის გეგმა			2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი			%
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	23,732.3	13,279.5	10,452.8	20,833.5	12,349.1	8,484.4	87.8
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	13,815.4	9,340.3	4,475.2	12,141.1	8,501.0	3,640.1	87.9
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	11,321.4	7,980.1	3,341.3	10,374.3	7,605.3	2,769.0	91.6
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	1,182.2	311.5	870.8	1,163.7	296.3	867.4	98.4

02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	202.9	0.0	202.9	3.7	0.0	3.7	1.8
02 01 04	ხიდების და ბოგირების მშენებლობა	1,108.8	1,048.7	60.1	599.4	599.4	0.0	54.1
02 02	წყლის სისტემების განვითარება	2,437.9	1,343.5	1,094.4	2,182.5	1,323.1	859.4	89.5
02 02 01	სანიაღვრე სისტემების ექსპლუატაცია / რეაბილიტაცია	1,316.7	1,042.7	274.0	1,275.2	1,042.4	232.8	96.8
02 02 02	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	1,121.2	300.7	820.5	907.3	280.7	626.6	80.9
02 03	გარე განათება	900.4	0.0	900.4	886.4	0.0	886.4	98.5
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	700.0	0.0	700.0	694.5	0.0	694.5	99.2
02 03 02	გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა	200.4	0.0	200.4	191.9	0.0	191.9	95.8
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	2,688.5	1,885.6	802.9	2,579.0	1,827.2	751.8	95.9
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამზანაგობების განვითარება	565.4	0.0	565.4	378.2	0.0	378.2	66.9
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2,043.7	0.0	2,043.7	1,635.7	0.0	1,635.7	80.0
02 06 03	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	641.7	0.0	641.7	330.4	0.0	330.4	51.5
02 06 04	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება	1,402.0	0.0	1,402.0	1,305.2	0.0	1,305.2	93.1
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	711.9	710.2	1.7	698.7	697.8	0.9	98.1
02 08	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	127.3	0.0	127.3	68.2	0.0	68.2	53.6
02 09	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	116.0	0.0	116.0	5.9	0.0	5.9	5.1
02	მოქალაქეთა ჩართულობა	275.8	0.0	275.8	257.9	0.0	257.9	93.5

10								
02 11	ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა	50.0	0.0	50.0	0.0	0.0	0.0	0.0

3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 2457,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (2586,8 ათასი ლარი) 95 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2023 წლის ბიუჯეტის გეგმა			2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი			%
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2,586.8	0.0	2,586.8	2,457.1	0.0	2,457.1	95.0
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება	64.4	0.0	64.4	64.1	0.0	64.1	99.5
03 03	დასუფთავება , ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა	1,952.9	0.0	1,952.9	1,888.8	0.0	1,888.8	96.7
03 04	საგრანტე პროგრამა „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის"	4.5	0.0	4.5	4.5	0.0	4.5	100.0
03 05	ნაგავშემკრები კონტეინერი და ნაგავშიდი მანქანები	565.0	0.0	565.0	499.7	0.0	499.7	88.4

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 4876,0 ათასი ლარით, რაც გეგმის (5068,9 ათასი ლარი) 96,2 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2023 წლის ბიუჯეტის გეგმა			2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი			%
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
04 00	განათლება	5,068.9	524.8	4,544.1	4,876.0	472.6	4,403.4	96.2
04 01	საბავშვო ბაღების გაერთიანება	4,540.4	0.0	4,540.4	4,399.6	0.0	4,399.6	96.9
04 02	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია	528.5	524.8	3.7	476.4	472.6	3.7	90.1

5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 4746,0 ათასი ლარით, რაც გეგმის (4920,6 ათასი ლარი) 96,5 % -ია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2023 წლის ბიუჯეტის გეგმა			2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი			%
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	4,920.6	0.0	4,920.6	4,746.0	0.0	4,746.0	96.5
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2,148.3	0.0	2,148.3	2,103.0	0.0	2,103.0	97.9
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	187.2	0.0	187.2	183.2	0.0	183.2	97.9

05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,961.1	0.0	1,961.1	1,919.7	0.0	1,919.7	97.9
05 01 02 01	წყალტუბო არენა	209.9	0.0	209.9	207.5	0.0	207.5	98.9
05 01 02 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	1,105.0	0.0	1,105.0	1,097.4	0.0	1,097.4	99.3
05 01 02 04	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	646.2	0.0	646.2	614.8	0.0	614.8	95.1
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2,761.3	0.0	2,761.3	2,636.2	0.0	2,636.2	95.5
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2,022.8	0.0	2,022.8	1,924.3	0.0	1,924.3	95.1
05 02 01 01	წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	689.5	0.0	689.5	632.1	0.0	632.1	91.7
05 02 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	1,183.3	0.0	1,183.3	1,174.8	0.0	1,174.8	99.3
